წვიმას გადაელო. მზე იცქირებოდა. მის სითბოზე სველ დედამიწას ორთქლი ასდიოდა. ლევანმა თოფი აიღო, ხერხილედ გამოვიდა და გაჩერდა. მერე ვერცხლის საპაპირობედან პაპიროსი ამოიღო და მოუჭიდა და ზანტად წავიდა. ისე გაშორდა იმ ადგილს, რომ უკან არც კი მიუხედნია აქით, სადაც გულ-წასული, გაუპატურებული შეშლილი ქალი იწვა მიწაზე. —წვიმის შემდეგ მზე უფრო ცხარე იყო, დედამიწიდან ასულ ორთქლისაგან ჰაერი დამძიმებული. ნაწვიმებს ხეში წყალს ემატნა და ლევანი ისე თავისუფლად ვეღარ მიდიოდა როგორც წვიმის მოვიდა. წყაროზე პირი დაიბანა: გაიბანა ის ქუჭკი, რომელიც მის სახეს და ხელებს მოეცო თებროსთან ბრძოლის დროს, მის თმებისა და ტანისამოსისაგან. სახე გაივრილა, ტანისამოსი გაისწორა და ფეხ აქაჩარებით წავიდა წინისაკენ: არ უნდოდა, რომ ამ ადგილებში ვისმეც მოესწორო. სადილობაც გადასული იყო და შინ სადილად ელოდებოდენ. უკვე სრულიად გულ-გრილად გაუარა მუხსა, ნათლი-მამის სოლოს დამწვარ სახლს, დანგრეურ სოფელს. დილიანდელი თავისი ფიქრები თავში აღარ მოსვლია. დაავიწყდა, რომ ამ დამწვარ სოფელს ნამწვევების ძირში ჩამალული იყო ის ნაპერწკალი, რომელიც წვიმამ მან სოლოს თვალბეჭში დაიბანა, რომელმაც წვიმად შაშინა და რომელიც იქ იმიტომ ლეოდა, რომ ერთ დროს ერთ დიდ ცეცხლად ქცეულს სამაგიეროს მის-საჯელად წაეღოკა ყველა, ვინც ეს ნაპერწკალი ჩააგდო ხალხის გულში.

აივანზე ელენე იდგა და გზას გააყურებდა. ლევანს ელოდებოდა. ლევანმა შორიდანვე მოჰკრა მას თვალი და გაიკინა. მოაგონდა დანაპირევი, რომ თავის სატრფოსათვის მშველი უნდა მოერთობა და ხელ-ცარიელი კი მიდის მისთან.

— რომ იცოდეს რა შველი მოკვალი დღეს, სულ სხვა გუნებაზე დადგება!—გაიფიქრა ლევანმა და ელენეს გაუტინა.

უკან იმ დამწვარ-დანგრეული სოფელი და ნამუს-ახილი ქალები დარჩა.

ა რ ს ე ნ ა

უხილავ ხელმა წაშალა
ვარსკვლავნი თანდათანობით;
თინათინ ფარავს თავშალი
შინ მივა ნელი გალობით.

სღუმან ავლაბრის სახლები;
ვიმერთალა მთვარეც გვიანი;
მას არეინ არ ეახლება,
ბრუნდება ნათელ მზიანი.

არსენას ცხენის ჭენება
კიდევ მოისმის შორიდან;
როცა მზე ჩაესვენება
ამბავი მოვა გორიდან:

„ატლასის ფარჩა ნაქარგი
მინდა გშვენიოდეს კაბათა;
თუ შენ არსენა დაქარგე—
ატარე მისსა ამბათა.“

ასახობრებლათ წავსულვარ
მსუქან, ფაშვიან ვაჭართა;
ავ თვალით არ დანვანსულვარ
არ ვდარდობ რაც დამემართა!

ბორკილის სისხლის დაღები
მალამით მოშირიჩენია,
და ციხის ბნელი თაღები,
არსენას ტყვილათ ელიან.

გულში მიღვეს შენი ბაღდადი;
გორიდან მცხეთას ვაპირებ;
თუ ვიქენ ისევ ნაღდათა
ბოღბისხვეს გაეინაპირებ.

თუ სასიკვდილოთ დავიჭერ,
თუ ჩემი მკლავი წახთვისა,
წითელ კვერცხს ვეღარ დავიჭერ,
ჩემი სიზმარიც აბთესა“.

თინათინ კაბას აჩქარებს
არსენას ვასახართა;
მთვარესაც კი არ აქარებს
ჰქარგავს, დამღერის წყნარადა.

არ დარდობს; სჯერა ვეფხოზა
გულ მკერდის, ფართე მზრებისა!
არსენა არ დაეფხოზა,
არა აქვს რიდი მტრებისა;

მაგრამ რა ნისლით მოკულა
მუხათ გვერდისა ჰალღები!
თინათინ ჩუმათ ლოცულობს,
სტორიან ფართე თვალები.

მკლავებზე დაეყვინთება,
სიზმარსაც ნახავს მწარესა;
ხედავს:—სანთლები რინთება
აქლდება შუქი მთვარესა;

მოაქვთ მცხეთისა მხარიდან
ყაჩაღებს შავნაბლიანებს
მკვდარი არსენა მხარითა,
შორი გზით დანაგვიანებს.

წვერები სისხლით დასვრია,
და ვეღარ აღებს თვალებსა;
გულში ხანჯალი ასვია,
აქცევს სისხლისა ლვარებსა;

მისი უღელში გრეხილი
ბაღდადით დაუხურობთ;
და ხმალი ვადატეხილი
ვაჭარსა მოაქვს ურიის.

თინათინ წამოვარდება,
აღდება გარეტებული;
ხედავს, რომ მტკვარი შველება,
და მოდის ადიღებული;

ამბობს: „სიზმარი ტილი
ტყუილად არ გამლანდებია!“
ორი მხედარი გვიანი
შორი გზით გამოჩნდებიან.

ალაყდს მოადგებიან
ჩაბალახებით ბურვილინ;
თინათინს ეუბნებიან:
„გვებზრობს სიცხე და წყურვილი.“

მოესულვართ შავი ცნობითა,
გზა დიდი გაგვიარია;
კუჰანტლის ვერავობითა
ჩვენი არსენა მკვდარია.“

ამბობენ: „შენი ბაღდადით
ჭრილობა დაუფარეთო,
და ძველი ქართლის ადაითთ
მიწასა მივებართო.“

არსენას ნაანღერძები
სურვილი შევასრულეთო;
დაცკალით დიდი ვერძები
მშვირნი დავაპურეთო.

გვთხოვა გვიამბო სანქაროთ:
„ბედი გამიხთა მტერთათო!
წითელი კაბა ატარე
არსენას მოსავნათო.“

არ დასწვა ჩემზე სანთელი.
არცა ცრემლი ლვარო ცხელიო;
აქაც კარგი ვიყავი,
იქაც ნათელსა ველიო!“



ზამთარი.

(დისონანსები)

თოვლი მობრძანდა ტენორის ყელით და უსაბუთავეს ხელთათმანებით.

შეხვდა ქალაქი ქუქყიან ხალით, შეხვდა სიჩუმით და მოთმინებით.

გრიგალი მოდის ურიცხვ ჯარებით, როგორც ზიგურიდი და მენელაი, მოდის ცინებით—ქერა და რაჯაჯებით—და გამოუსვამს ლამის მელანით.

ზამთარი მოდის თავის ტერორით, მან დაიკავა ყველა ქუჩები.

ზამთარი მოდის ვით კომანდორი და გარბის ხალხი შენაქუჩები.

ლამურასავით დაფრინავს ქაი.

დაახლო ბავშვი მან უპატრონო. როდის გადნება ეს თეთრი ქერი და წაშავდება ლამეოტრონა?

მე ვარ გაკრული ცივ პავზანზე; მაგრამ არ მოდის ჩემი ინფანტა. მწარედ ვოცნებობ ვის და რამინზე, და თოვლისაგან მთლად გავიპნეტე.

თუ მოვესწარი მე გაათენებას, თუ ქარიშხალს შეწყდა თარეში, თუ დავაღწიე თავი ანთებას, წავაღ, რომ გაეთბე, ხეალ ოპერაში!

ვალერიან გაფრინდაშვილი

კოლხეთის
ჩალ. დავითის
კრებული

ალექსანდრი გუცემიჩი.

ქალაქი

ახალ ცხოვრების, ძვერით ხმაური, ზურმუხტ ნაგები ტანი ფოლადის, მრისხანებაში, სღვას საცნაური გველი ქალაქი, მხნე გოლიათი.

ახურავს თავზე, კომლის გვირგვინებს, აწვირლ ქარხნის მალალ ზურჩებზე. ვატყორცნილ კენესით, ამოიკმინებს, რკინა დამდნარი მის შავ ტურებზე.

როგორც ფრინველთა, გუნდი დაშლილი, მის ჯოჯოხეთურ ალში ქრებიან, სწრაფ ტრამვაების, წყვედა გაშლილი მალლიდან თქემით დაეარდებიან.

ჯავარიან კლდის, დიდი სახლები. ათას მინებით გაჭრილა ქეაში, არეულ ვნებით გადაეხლება. გაიფური ხედვა მტრედისფერ ცაში.

არ უჩანს ბოლო ჩაქცეულ ქუჩებს, ხროვა ხალხისა, კივილს დახებდა სამარადისო ქუხილს აქუჩებს, მშრომელთა ოფლის ძლიერი ნება.

ქალაქი კვეთავს, ალში სტრვილუმს, მხარეა იგი, მკერდ გალადრული მასში გრიგალით ტან-შებენივლებს, უნთიათ სისხლი ჩამოღვარული.

ქალაქი მძლავრი გაუტეხელი, და მოვხაურთა, ბედის ვარსკვლავი. დროში ამართა, სისხლისფერ ხელით, და შრომის უფლად მაგარი მკლავი.

თარგმანი: გიორგი ლავამარ

ყ ა ზ ბ ე გ ი ს ს ა ჯ ი თ ე ბ ი



ეს ძველი ამბავია.

ბავშვობისას გამოვიჩინა: თითქო ალ. ყაზბეგის თხზულებათა დამწერი სხვა ყოფილიყო. გამოვიჩინა ისიც: თითქო ეს უცნობა ავტორი მისი ბიძაშვილი დიმიტრი ყაზბეგი ყოფილიყო.

ბეგრს ეგვიპტეა შექსაბირის ავტორობა. ალ. ყაზბეგის ავტორობაში რომ დაეჭვდენ—რა გასაკვირა?! საკვირველი სხვა რამ არის: როცა ასეთს ეგვიპტეს უსსუბური კვლევით ამართლებენ.

ასეთ კვლევას ეკუთვნის ვინმე მიხ. ზანდუქელის ნაშრომი.

მე არ მინტერესებს პოლემიკა და არც მიყვარს პოლემიკური ეპროზი. თუ სიტყვა „უსსუბური“ ვიხსნარე ეს მხოლოდ იმის გამო, რომ სხვა უფრო შესაფერი სიტყვა ვერ მოვიხსენე.

ჩემი მიზანი სხვაა. მე მუსორ აგენაშვილი მხოლოდ, რომ ხსენებული ავტორის სხვადასხვა საბუთი ან არის სცადარი და ან არის უქმარი: ან ორივე ერთად.

ავტორი ირწმუნება მრავალჯგუფს, რომ შემოქმედება ცხოვრების გარეშე არ არის.

ეს მამოლი ისე ვაკეთებოდა, რომ იგი ყველამ იცის. საიტიხი სხვანაირი მობრუნებაშია: ცხოვრების რომელი ხვეული გახმარდა მწერლის შემოქმედებაში და რა გზით: პირდაპირით თუ მოხვეულობ, ბილწულით თუ ფარულით. ფროიდის ფსიხონალიზმი სწორეთ ასეთიანია—თავა გამართული.

ხსენებული ავტორის მსჯელობა კი ყოველგვარ სერიოზობის გარე დვას. იგი ერთკლად მოგვიბორობს ალ. ყაზბეგის ცხოვრებას:

იგი ფუფუნებაში და განცხრობაში იყო აზლილი, იგი იყო ნებიერი და ნებასუსტი, იგი ფლანგავდა ფულგებს, იგი იყო სიმულანტი (ერთხელ ქალის სიყვარულიც მოიგონა), მან სწავლა ვერ დაასრულა, იწყო იჯარების ოღბა და ვერაფერი გააკეთა, გახსნა სასმლით ეპიკრობა და ვერც ეს მიიყვანა ბოლომდე, მას უყვარდა ფუქსავატი გართობა, როგორც მავალითად ფალსევანი ყოჩბადა აზდა (მართო მისი დაბარია“ რად ღირს?) და სხვა—და აქედან ავტორი ასეთ დასკვნას აკეთებს:

„აშკარაა, ყველაფერი, სამწუხაროდ, ისე იწყობა ალ. ყაზბეგის ცხოვრებაში, რომ უნდა შეფერხებულიყო უკეთ რომ ვსთქვათ, დაბნელებული გზით წასულიყო მისი ნიჟბა და მალბის განვითარება დაკნინებულიყო, ვაფანტულიყო, მოღონებულიყო“.

აი მართალია რომ „უეცარი“ დასკვნა!

ავტორმა ან არ იცის მწერალთა ბიოგრაფიები, ანდა განგებ ივიწყებს მათ, ისტორია მოგვიბორობს, რომ მწერალთა უმრავლესობას ზემოაინშული „კოდეგები“ ახასიათებენ. ალ. ყაზბეგი ვერ ვახდებოდა თვალსაჩინო მწერალი, რადგან იგი ცხოვრებაში ასეთი და ასეთი იყო. ამ ახირებულ დებულებას რომ გაეყვეთ, მაშინ მწერალთა თიხმოდებათ პრიციპტი მწერლობის ამოკარდებდა. შორს რომ არ წაიღივთ, აკაცი წყრითელი შეგვძლია გავიხსენოთ მავალითისათვის: არა მგონია, ისეთი რაიმე „კოდეგ“ ჰქონდეს ალ. ყაზბეგს, რომელიც იმვე

დროს აკაცი წყრითელს არ ახასიათებდეს. მაშ გაავრცელეთ მან ეს დებულება! შედგვი იგივე იქნება.

სულ სხვა იქნებოდა, ავტორს რომ გამოეჩინა ალ. ყაზბეგის ცხოვრების რომელიმე ხაზი მისი რომანების რომელიმე ხვეულში: თუ გინდ მისი სიმულანტია—მავალითად რუს ქალთან რომანის მოგონება. მაშინ კვლევას სულ სხვა მიმართება მიიღებდა. მაგრამ ავტორს ეს არ აინტერესებს.

ავტორი ენება ალ. ყაზბეგის ნაწერებს. იმე წამში ნახლობს მათში კაინსა და აბელს, ერთი ჯგუფი ცუდია, მეორე ჯგუფი კარგი. იგი არ ცდილობს ახსნას, თუ როგორ თავსდებათ პირველი ჯგუფი და მეორე ჯგუფი ერთსა და იმავე ავტორში. იგი თავიდანვე იმში დარწმუნებული, რომ პირველი ჯგუფი ალ. ყაზბეგს ეკუთვნის, მეორე ჯგუფი კი სხვას უნდა ეკუთვნოდეს. ამ მტკიცებას იგი სხვადასხვა გზით ასაბუთებს. ხოლო არც ერთი გზა არ არის სწორი.

პირველ ჯგუფს ეკუთვნიან: „სკენები“, „ფათი“, „ჩინოვნიკი ელტირე“, ბედ-შავი“, „მტრები“, „ელენონრა“, „ცხოვრების ჩარხი“, „წინო“ და სხვა.

მეორე ჯგუფს ეკუთვნიან: „ციკოა“, „ელგუჯა“, „მამის მკვლელობა“, „ციკოა“, „ელისო“, „ციკია“, „წინო“, „ბერლინი“, „ელბერდ“, „ხევის ბერი გოჭა“, „ნამუყესარის მოგონება“, „განკიცხობა“, „მოძივარი“ და სხვა.

ამ ორ ჯგუფთა შორის, ავტორის აზრით, უფსკრულია ნამდვილი.

უფსკრული პირველი: პირველ ჯგუფს ემჩნევა უტყუარი გავლენა სხვადასხვა მწერლების: გიორგი ერისთავის, გრიბოედოვის, კარამზინის, მოპასანის, ლერმონტოვის, ტურგენევის და სხვისაში. მეორე ჯგუფი თავისებურია: მას არ ეტყობა არავითარი გავლენა. აქედან დასკვნა: პირველი ჯგუფი ერთ მწერალს უნდა ეკუთვნოდეს და მეორე ჯგუფი მეორეს.

კიდევ რომ მივიღოთ, როგორც ფაქტი, თითქო პირველი ჯგუფი გავლენის ქვეშა დაწერილი და მეორე ჯგუფი კი თვისგნით, მაშინაც კი ავტორის დასკვნას აქედან ვერ მივღებთ. შესაძლოა ერთსა და იმავე ავტორს ჰქონდეს ორივე ჯგუფის ნაწერი: ერთი გავლენის ქვეშ და მეორე გავლენის გარეშე. მავალითები მრავალია. კერძოდ—ალ. ყაზბეგის შემოქმედების ასახსნელად შესაძლო იქნებოდა ასეთი ჰიპოტეზი: საცა იგი „ბარს“ ენება, იქ მასალა დამუშავებულია მრავალჯგუფს და მრავალმხრით, —ამისათვის შესაძლოა, ახალგაზდა რომანისტი გავლენაში მოხვედრილიყო. იქ კი, საცა იგი „მთას“ ენება, იქ თვითონ მასალა მიუცემულაა ჯერ კიდევ ხელმწიფით, —მაშასადამე შესაძლოა, ახალგაზდა რომანისტი თავიდან აეცდინა ყოველგვარი გავლენა.

უფსკრული მეორე: პირველ ჯგუფში აღებულია შორეული წარსული, მეორე ჯგუფში კი უახლოესი წარსული. აქედან: ორი სხვადასხვა ავტორი.

ესეც მკადარა. მრავალია მწერალი, რომელიც მასალას შორეულ წარსულიდან იღებს და ახლო თანადროლობიდან. კერძოდ—ალ. ყაზბეგის ნაწერის ახსნისათვის შესაძლოა ასეთი ჰიპოტეზი წამოვაცნოთ: ალ. ყაზ

ბეგი რომანტიკოსია და მას რასაკვირველია შორეული აფროკონანებს. ამ შორეულს იგი „წარსულში“ ჰპოებს. მაგრამ ის, რაც ჩვენ ახლო თანადროულად გვეჩვენება— „მთა“, ისიც წარსულია არსებითად. „მთა“ თითქო ისტორიის გარეშე დგას: მან არ იცის თითქმის ვითარება: იგი თემურ და გვარეულ ყოფას არ გასცილებია. მაშასადამე— „მთა“ არქაული ყოფაა, და როგორც ასეთი, „წარსული“. მაშასადამე— იგიც „შორეულია“ და პირველი შესხვედით ნახული ზღვარი ამ მხრით მიხსნილია.

უფსკრული მესამე: პირველ ჯგუფში მოცემულია მეშენური ყოფა მეშენური სიყვარულით, მეორეში კი რაინდული ყოფა სპეტაკი სიყვარულით. აქედან: ორი სხვადასხვა ავტორი.

ახირებული მტიციებაა. ალ. ყაზბეგი სწორედ ასე უნდა მოქცეულიყო. აი რასა სწერს იგი თავის თავზე: „ამ ხალხში აღვიზარდე, აქვე წსწოდელ მთელი დედ-დაცაის რძეს, რომელიც ძილად იყო შემდგარი მთის დაღებულებით აღსავსე ბუნების ნაწილებისაგან... ვიზრდებოდი მათ შორის და სანექტარო ნიათთან ერთად სმენასა წინდელსა ნანა ჩემის შრომებისა, რომელიც იძახდა: ვინ თავისას ვერ სთავისობს, მას აღმზრდელის რძე პირიდან წამოუყოფა.. და შემდეგ, თუცა ყოველმა შემთხვევამ, თუნდა ავილით თბილისის ასე წოდებული მოწინავე— მოთავე ხალხში ტრიალმა ვერ დაიმორჩილა ჩემი შემადგენელი ნაწილები, ვერ შეიპოვა და ვერ გარყვნა მათი ძილა, და დღემდის ჩემის სისხლის შემადგენელში არიან მთის ნაკადულში შერეული ჩრინა და კლდე შორის ნაჩენქების წვეთები“ („კავკასიონი“, 1—2)... აი „მოილისა ბუნება და მისი ზღერა: საკვირველი არაა, თუ მან გარე „მთისა“ მხოლოდ მეშენური ყოფა იხილა და ოდნავ „მგერდულად“ მიუღდა და ირიბად ასწერა..

უფსკრული მეოთხე: პირველ ჯგუფში ბუნება არაა მოცემული, ან თუა მოცემული, იგი თავისთავადაა. მეორე ჯგუფი კი სულ ბუნებითაა გავლენითლი. აქედან დასკვნა: პირველი ერთს ავტორს ეკუთვნის და მეორე მეორეს..

არც ესაა სწორი. ალ. ყაზბეგი ბუნებას ყველგან ხრდებს. მოუცხადოთ მას: „ბუნება კარგაა მხოლოდ მაშინ, როდესაც შიგ სიცოცხლედ ტრიალებს“. ცოტა კვიით: „შე არა ვარ მლოცველი უსულო, უსიცოცხლო საგნებისა“. („კავკასიონი“, № 1—2). და თუ მინდა და მივიტ პირველ ჯგუფში ნაკლებია ბუნება ვიდრე მეორეში, ეს ალბად იმიტომ ხდება, რომ პირველ ჯგუფის ყოფა მოწყვეტილია ბუნებასა და მეორე ჯგუფის კი პირდაპირ ვალხობილია ბუნებაში.. ალ. ყაზბეგს ქების ძეტი არა ეთქმის რა ასეთი ობიექტის ასახვისათვის..

უფსკრული მეხუთე: პირველი ჯგუფის სტილი სუსტია და მდარე, მეორე ჯგუფის სტილი კი ძლიერი და გულსხმიერი. აქედან: ორი სხვადასხვა ავტორი.

კიდევ რომ მივიღოთ ასეთი დაყოფა, ეს კიდევ იმას ვერ დაამტკიცებს, რომ ეს ჯგუფები სხვადასხვა ავტორებს ეკუთვნის. გარდა იმისა ავტორის მავალთებში სუსტია, მას მოჰყავს „ფაიასის“ და „არსენას“ ვითომ სუსტი ადგილები. ნამდვილად კი ეს ადგილები სტილის მხრით მეორე ჯგუფის ადგილებს არაფრით არ ჩამოუვარდებიან. ამავე დროს მას მოჰყავს „მამის მკვლელიდან“ ვითომ ძლიერი ადგილი. ნამდვილად კი ეს მდარე რიტორიკაა: „ის არ იყო ქურდი და ქურდობას სწამებენ? ის არ იყო ავაზაკი და—ავაზაკობას აბრალდენ? იმას უყვარდა და—სიყვარულის სავანს აშორებენ?...“

მაგრამ ისევე როგორც ავტორის მტიციებას, თითქო მწერალს (ამ შემთხვევაში ალ. ყაზბეგს) არ შეეძლო 1880—1885 წლებში აღედგინა დაწერა: ცოტა ხანია! ვინ არ იცის მრავალი მწერლის ინტენსიური შემოქმედება არ შეეძებები არც იმ ფაქტს, რომ ალ. ყაზბეგი 34 წლისა იყო, როცა სამწერლო ასპარაზზე გამოვიდა. ძალიან კარგი: მომწიფებელი გამოსულა. შეეძებები მხოლოდ ავტორის ერთს „ახირებულებას“..

მაგრამ ლექცია წიკითხა შოთა რუსთაველზე. ყაზბეგი გამოიხეზა და ვერა სიტყვა-რა. მიუხედავად იმისა, რომ „მამის მკვლელობა“, ავტორის ფიქრით, „გეგზის-ტყაოსანის“ „გავლენით არის დაწერილი: „იაკო—პირდაპირი, გულადი, უშიშარი, მაგრამ გრძნობით დატყვევებული-დამონებული; მასში ხშირად გრძნობა სტრომბოს; კობაში კი ახრი და მოხერხება უფრო მეტია, თუმცა სალი და ძლიერი გრძნობაც მასში დილია“. ერთი სიტყვით, გამოდის, რომ იაკო ტარიელია და კობა ავთანდილი.

არც იგი, რომელ შკოლაში ასწავლიან ასეთ პარალელს. ამას თუ გავყვიტო, უთავალვი ტარიელი და უთავალვი ავთანდილი ამოჩნდება.

ესეც არ იყოს, რა უნდა ეთქვა ალ. ყაზბეგს, გარდა იმისა, რაც სიტყვა! ეს მისი ნებაა და უფრო კი მის გულ-ნება (გუნება)..

ავტორის უნდა ამით განუვითარებლად მოგვიჩვენოს ალ. ყაზბეგი. მაგრამ ვინც წიკითხავს „კავკასიონში“ გამოქვეყნებულ ნაწერს ალ. ყაზბეგისას, ის უთუოდ უკუაღდებს სრულიად უსაფუძვლოდ გავრცელებულ შეხედულებას ალ. ყაზბეგის ინტელექტის შესახებ.

ეს მხოლოდ „ზივადანია“. თავიდათავი სხვაა..

წარმოვიდგინოთ, რომ ალ. ყაზბეგის სახელობის ნაწერებში მართლაც ორი ჯგუფი არსებობს, უფსკრულით გაყოფილი ერთი მეორისაგან: პირველი სუსტი და მდარე და მეორე ძლიერი და გულსხმიერი. მივიღოთ ისიც, რომ პირველი ჯგუფი ერთს ავტორს ეკუთვნის, მეორე ჯგუფი კი მეორეს..

ეს ყოველი კარგი, მაგრამ სად არის იმის საბუთი, რომ სუსტი და მდარე სწორედ ალ. ყაზბეგს ეკუთვნის?! ეს დასკვნა ყველაზე უფრო „ახირებულა“ მიხ. ზანდღუელის „გამოცვლევამში“.

იგი აქ ისევე ალ. ყაზბეგის პიროვნულ ერთფულს მიმართავს:

ალ. ყაზბეგი თითქმის ბავშობიდან შეპყრობილი იყო ონანისმით. შემდეგ ავი სენი (ლუქსი) შეეყარა. ავტორის მოჰყავს სხვების მოწმობა: „იგი თავიქანდრული და გულსთმობილი იყო“. მისი გართობა შეეძლო მხოლოდ მის მიმწე „ჟაკის“, რომელიც მას გავიგებით უყვარდა და რომელიც ხშირად ქუჩაშიაც კი დაჰყავდა უბით. ალ. ყაზბეგი საწინელ ქუჩებში ცხოვრობდა: საცვლების გამოცვლაზედაც უარს ამბობდა. მისევე სკირდა კლექტორმანია. იგი ჩადიოდა ღუქნებში, იზარა-

34896



და ფართულულობას, ამოქონდა შინ, ამწყვიტებდა ხოლმე და ეთამაშებოდა... და სხვა და სხვა...

შემდეგ ავტორს მოჰყავს ვაჭარი ციტრატები პსიხიკატრის სერვისის წიგნიდან. მკითხველი მიხვდება თუ რისთვის...

თელი ეს ადგილი ავტორის „ექლესიას“ საშინელ შთაბეჭდილებას სტოვებს...

ჩვენ ვიცით, რომ ალ. ყაზბეგი არაორმალური იყო. მაგრამ ისიც ვიცით, რომ ნამდვილი შემოქმედი მრავალ შემთხვევაში არაორმალურია: იგი არცვლად მიღებულ ნორმებს. ამ შეზღუდულებას არ აქვს შინაგანი კავშირი არც ლომბროზოს თეორიასთან („გენიალიზმა“) და არც მასს ნორდაუს ანალიზთან („ვადეაგურება“).

ჯერ ლუფის.. საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ მოხსნას მას სირცხვილის“ მისკა და დაერქვას მას მხოლოდ „უბედურება“. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვეძლება ჩვენ სწორად და მართლად ევლამაზიკით მისზე.

ჯერ მხოლოდ ფაქტები. საფრანგეთის მწერლებში და პოეტებში — ინი მოთვლის რამდენი იყო ულტრაიკი? მაგრამ ვის უფრო იმის მტკიცება, თითქო მათი შემოქმედება ავი სენის გამო მდარე იყოს და სუბტი? მართალია, ბოლო ფაზებში ეს სენი ანადგურებს ადამიანს, მაგრამ ისიც მართალია, რომ პირველ ხანებში იგი ჰქმნის ადამიანში მისი ძალების უმძაფრესს კონცენტრაციას. ამ პერიოდში ყოველი შემოქმედი — პოეტი თუ მწერალი თუ მენეჯერი თუ ფილოსოფოსი — ჰქმნის ასე ვთქვათ კუნთების ერთიანი დაბიძგივით, ძალების ერთი დავკრით, ერთი საშინელი ანთებით და ავიღებდნენ. დრო და დრო ამ სენით ავიღს დერესისა იპროზოს და მელანქოლია — სანამ ბოლოს სრულიად არ დაიწვის, გრაფიკულად რომ გამოუკრას მისი შემოქმედების სურათი, მალაჩის ხაზულს მივიღებთ: ხან ავიარდნა და ხან დავაოდნა. ორივე — მაგარი. ამ სენით ბევრი რაიმე აიხსნება ალ. ყაზბეგის მივლენაში. შესაძლოა, წლები 1880 — 1885 სწორეთ მალაჩის ხაზულს იძლეოდნენ მის შემოქმედებაში, უქანასწენლის გამამფრებთ, რასაკვირველია. ამ ხანას ეკუთვნის დიდი ნაწილი მისი შედეგების. ხოლო, დრო და დრო იგი ალბად ამავე ხანაში „დავიარდნასაც“ გადაიტანდა, რასაც უფროდ მოჰყვებოდა სუსტი ნაწერი; უსიხლო და უხერხემლო და ზოგჯერ დაუშთაავრებელი.

მტკიცება იმის, რომ 1880-1885 წლებში იგი უკვე „დავიარდნი“ იყო, მხოლოდ ცალხალი მოგონებები შეიძლება დადასტურდეს. უქანასწენელი ეს სხვას გვეუბნება.

ესლა ჭეჭე...
თავისთავად ესეც ფანტასტიკაა ალ. ყაზბეგის. ისტორიამ მრავალი იცის ასეთი მაგალიტი. ის არ არის უბრალო მოვლენა. იგი ელს თავის ფიციოს ასახსნულად.

ხოლო რაც შეეხება მაიმუნ „ფაქოსთან“ დამეგობრებას, ამაში მე ვხედავ არა მარტო „გენიალურ ახიერებულებას“, არამედ ადამიანის პიროვნების უქანასწენელ დანაღვბასაც აქ იქ არის პოეტის ვახვებას შელანქოლის არეში.

კიდევ უფრო პოეტურია ხაზი ალ. ყაზბეგის კლემენტარია:

როცა იგი ფართულულობას, თუ გინდ შეფერვნიველ წამოღებულს, შინ ამწყვიტებს და ეთამაშება, ჩვენ წინ

ბავში იმართება ნამდვილი ამ სახელის უსაყვარლესი მწერენლობით.

ალ. ყაზბეგის ხასიათზე კიდევ ბევრს იტყვიან.

აქ დიდი მასალაა მადლობა.

ავტორის მოჰყავს ერთი ფაქტი ალ. ყაზბეგის ცხოვრებიდან. „რა გემართება სანდრო?“ ეკითხება მას ნიკო ლომოური. სანდრო მიუგებს: „ეგ არაფერი! უტყბად მომელანდენ ყველა ჩემი გმირები და მათთან ევლაპაკობ“. ამ სიტყვებს ავტორი დაერთავს ექიმ გვედევინშვილის სიტყვებს: „ეს მხოლოდ ავადმყოფი სულის გამოხატულებაა და არა ნამდვილი მხატვრული წარმოსახვის...“

ეს ამბავი თორმეტი წლის წინად პირადი გადმომცა მე ნიკო ლომოურმა. გადმოცემით ისეთი დიდი მომეჩვენა სანდრო ყაზბეგი, რომ იმავ წელს დავებუდე პატარა წერილი „სანდრო ყაზბეგის“ სათაურით... და მართლაც: აქ ჩვენ ვაპქვს საქმე უსამართეს ფიზიონომიკურ ნივთთან... მის ზაღდუკელი კი უბრალო ექიმის თქმას იმოწმებს, რომლისათვის ასეთი ნიკო ცხრა კომეტულშია ადამაულა. საკვირველია: ნუ თუ ლაშქარის გამოკლევა მაინც არ წაუთხოვსა შემოქმედთა უსახურ ხილვათა შესახებ?!

არას ვიტყვი დიმიტრი ყაზბეგის ავტორობის შესახებ. ალ. ყაზბეგმა განაწინა ვასტება და ნაწერები მოიტაცაო. მერე ეს ქანა იმის დასამტკიცებლათ, რომ ავტორი დიმიტრი და არა სანდრო? საიდან ვიცით ჩვენ, რომ იქ უფროდ ბელადიტრისტული ნაწერები იყო? შეიძლება „მაგენ სულელები“, რომელიც 1872 წელს დაიბეჭდა და რომელიც „დიოზამ“ ესლა გადმობეჭდა? მაგრამ ეს ხომ უსუსტო ბავშის ნაწერია თითქო? ამასთან შედარებით ალ. ყაზბეგის უბრალო მართებით სტუდენტობის დროიდან — შექსპირია ალ. ყაზბეგის ფრაზა: „მე არა ვარ მლოცველი უსულე, უსიციოცხლო საგნებისა“ — დიმიტრი ყაზბეგის „მაგენ სულეს“ იყიდის თავიდან ბლომად.

მაგრამ ავტორი ახიერებულა და თავისი გაიძახის. მეორე ჯგუფის ნაწერებიდან დარჩენილია ხელნაწერები („მოძღვარის“ რამოდენიმე თავი). ავტორის აზრით, ეს „მოძღვარის“ დედნიერ არა, მისი უხვირო გადმოცემაა. ადააუეს ტექსტებს ერთი-მეორეს. მაგრამ რამოდენიმე ხანა ხელნაწერიცაა. გუდამაყარის ვიწროსა და ქვიანს ხეობას სათავეში ერთი უზაოხანარი, ძნელად მისადგობა და კაცის შემზავებელი მთა ამარაულა. ან კიდევ: „თაიაც ან ავიდარს ეს ადგილები დაუღლია, ქარს გამოუფუდურაეს და ავიღალ-ადგალ ჩამოშლის გამო ურიცხვი ხეუღლი ხეობა და გადასავარდნი უფსკრული შეუღდენია“. ეს არის უხვირო გადმოცემა ორიგინალისათვის თავის სიტყვივი? ვანა არ სჩანს აქ სისხლი, რომლის „შემადგენელნი ნაწილინი არიან მთის ნაკადულში შერეული ოკინა და კლდეთა შორის ნაჩეჭვის წვეთები“? ეს ნამდვილი ვარიანტია „მოძღვარის“; სიტყვა ძარღვიანი და ნაკვეთი..

ალ. ყაზბეგის ვითომ ცრუ ავტორობას მის. ზანდუკელი ამტკიცებს ერთი ფაქტი. მისთვის ეს ფაქტი გადაწყვეტია. ცნობილია, რომ აქტარბულ წყარის დროს (ვიეტონის აძლევდა დასაბეჭდათ და შემდეგ ავტოლებდა) ალ. ყაზბეგს თავის გმიობის სახელები ემუშებოდა.

ავტორი თითქო სიხარულით გაიძახის: „განა დასა-



ჯერებელია, რომ ავტორის თავისი გმირების სახელები დაავიწყდეს ან აერიოს?! ეს ხომ იმას ემზავსება, რომ დედას თავისი შვილის სახელი შეეშალოს! და შემდეგ: „ალ ყაზბეგის ასეთი „გადანათელა“ შედეგი ხომ არ არის მისთვის უკბო ნაწაზობების მექანიკურ გადაწერისა!?“..

ჯერ ერთი რამ..

ალ. ყაზბეგი, ცნობილია, რედაქციაში წერდა. ამას იგი, ავტორის ფაქრით, იმისთვის შეგობდა, რომ მის ცრუ ავტორობაზე ეპვი არავის აედო.

თუ კი ასე მოწადინებული იყო ალ. ყაზბეგი, რომ მისი ქურდობა არ გამოემდინებოდა, მაშინ, უნდა ვიგულისხმობთ, იმასაც ეცდებოდა, რომ გმირების სახელები არ არეოდა. მე არ მწამს საერთოდ ის „წარსულის ლოგიკა“ („ასე იზამდა“, და სხვა), რაიც პირველყოფილი ცოდნა ის ზორობილი კვლევისა საერთოდ, მაგრამ, თუ კი ოდნავ დავეუშვებთ მას, ორ მოცემულ ფაქტში მეორე უფრო მისაღებია: ქურდი უფრო ამოშლის ქურდობის კვალს.

მაგრამ სინამდვილე არაა ლოგიკა და მარტო ლოგიკით იგი არ იხსნება. სინამდვილე რომ ლოგიკა იყოს მარტო, მაშინ არც „ისტორია“ იქნებოდა. ჩვენ აქ „შეცდომასთან“ გვაქვს საქმე.

ნუ თუ ჰკონია მიხილ ზანდუკელს, რომ ალ. ყაზბეგისთანა შეცდომა არავის მოსვლია?!

შექსპირს დიდი ხსოვნა ჰქონდა, მაგრამ „მაკბეტში“, ანატოლ ფრანსის დაკვირვებით, მას ასეთი შეცდომა შეეპარა. იგი ამბობს, რომ კუდიანებმა მაკბეტს მიმართეს სამი წინათმით, ნამდვილად კი ორი წინათქმა.

ამავე ავტორის დაკვირვებით, რაბულეს ასეთი შეცდომა დონა აქვს. მე ორე წინის ბოლოში რაბულე გვეუბნება, რომ პანურგი ცოლს შერთავს და იმავე თვეში ცოლი მას ულაღაბებს, რომ პანტაჯრული იზოვის ფილოსოფიის ქვას და შვირთავს ინდიელ მეფეს ასულს. მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არ ხდება მისი თხზულების შედეგ წიგნებში. რაბულეს დაავიწყდა თავისი ლამაზი პლანი..

კიდევ უფრო უარესს შეცდომებს უშვებს, რემი დე-გურმონის დაკვირვებით, სერვანტესი. დონ კიხოტი გაემგზავრა. მეორე დღეს მისი მოსამსახურე ქალი ეუბნება დედულს, რომ დონ-კიხოტი ექვსი დღეა, რაც გაემგზავრა, ეს კიდევ არაფერი. სანჩო ტირის თავის ვირის დაკარგვის გამო. რაოდენიმე ფურკლის შემდეგ ეს ამბავი სერვანტესს ავიწყდება—და ჩვენ ვხედავთ სანჩოს იმავე ვირზე შჯდომარეს (კაცმა არ იცის. საიდან გაჩნდა). კიდევ უარესი. სანჩოს ცოლს თავში ჰქვია „ჟანა“, შემდეგ კი მისი სახელი „კრეზუა“.

შექსპირი, რაბულე, სერვანტესი. ამათ მოსდით შეცდომა.. რა დიდი ამბავია, ასეთი შეცდომა მოსვლოდეს ალ. ყაზბეგს?!—ვინც არ ცდება, იგი შემოქმედი არაა.

ვათაბებ. მიხ. ზანდუკელის წიგნს აწერია:

„დიდიველა სახელმწიფო უნივერსიტეტის საპედაგოგო ფაკულტეტის ნებართვით. პედ. ფაკ. მდივანი გ ნათამე“. ეს წარწერა ბევრს ავლენს—ორივე მხარეს..

გრიგოლ რობაქიძე.

კონსტანტინე
მან. შვიგინაძე
თბილისი



გენ. დავითაშვილი ვსტონეთის დიქტატორი და „ბალიფე“.



გვიგატის მუფე ფუალი.



ქართული თეატრის ქრონიკები.

I. ირაკლის თეატრი. II. 50-იან წლების თეატრა-
ლური ტფილისი. III. ზურაბ ანტონოვი.

I ირაკლის თეატრი.

„თეატრი“ ანუ „თეატრიონ“, „თეატრონ ქართულს ტერმინოლოგიაში შემოაქვს ძველს ელიზნუსის ლიტერატურას. საშუალო საუკუნეების ლიტერატურულ მანუსკრიპტებში ტერმინი „თეატრი“ ჩვენი საგნის მნიშვნელობით თითქმის არ გვხვდება, მიუხედავად იმისა; რომ ჯერ კიდევ საქართველოს საზოგადოება იცნობდა ესხლოს, სოფოკლეს და ევრიპიდეს ძველს ბერძნულ ტრაგედიებს.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ თეატრის კავშირი ლიტერატურასთან სავალდებულო არ არის, თეატრის ბუნებრივი განვითარებისათვის საქართველოში. უნდა აინიშნოს მისი პრიმიტიული ფორმები, შექმნილი რასიული ინსტიტუტით.

თეატრალური ხელოვნების შესასწავლად საქართველოში უნდა გავითვალისწინოთ ჩვენში ცნობილი ხელოვნება ესტრის და პანტომიმები; „ზმა“, „მეფეთობა-ჯამბაზობა“ „ლეკსი მოწასობი“ „ზაპო“, ცეკვა, სამაი, ჯუბანა“—რომელიც არის „მუსიკა მწუკობრი და საკრავთანი და ხმოვანება ტკბილი, გალობა თუ სიმღერა“.

ეთნოგრაფიიდან: „ბერკობა“ და „ყენობა“, როგორც აზნაიული ფორმა თეატრის, გრომის, კოსტიუმის და მუტუაოიის ყველა ატრიბუტებით.

არ შეიძლება გამოეტყვიოთ: „ამუშავეი“ „ყაბახი“ საეკლესიო „ქანანახი“ „ჭიელი“ და წარმართული რიტუალური „ქადაგის“ და „მონობის“. მასვე უნდა მივმართვს „ჩირალდნობა“ (აზიური ილიუმანაცია) და ქართული ტერმინი „გამოჩვენება“ თითქმის განმარტებული „ზემის“ მნიშვნელობით, ჩემის აზრით კი, კვებულნტი თეატრის.

უკუვლეს ლიტერატურიდან კი სანტერესია, აღდგენილი მიღწეული ფორმა დიალოგის, თეატრალური დიალოგები და დიალოგიური იამბიკობები.

ყველა ეს სახეები იძლევა თეატრის და დრამის გენეზისის საქართველოში.

ეს ძველად...

მაგრამ ხმები ევროპის თეატრალურ წარმოდგენების და მისტერიების შესახებ საქართველოში შემოვიღოდა XVI საუკუნეში. პირველი „გასვლა“ ევროპის X—XI საუკ. ეკუთვნის („ხოზაღდში ჩავჯექე, ზღვას გაველ, ფრანგის ქვეყნები ვნახეთ, სულ მოვიარე ხმელეთი ვერ ვნახე თეატრის სახე“—სამეალო საუკუნეობის პოეტი, რომელიც მხოლოდ კონტრინტეს იცნობს „ხმელითის“ სახით) XIII საუკ. რუსულანის კარზე სცხოვრობდა ევროპიელი პრინცი ობოთუს-შვილი, რომელმაც შეიძლება პირველმა გაცნო საქართველოს საშვეო კარი ევროპულ ეტიკეტებით და დღევანდელ იმდენათ მძლავრია ჩვენი პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა რომთან რომ უკანასკნელი საქართველოში აფუნდებს ეპარქიის Diocesis

Ifetelencris. მას მერე ჩვენი მუდმივი სტუმრები არიან კილტურტიეგერმისიონერები: დომინიკანების, ფრანხის კანების, თეათინების, და კაპუცინის ორდენებიდან. შემდეგ რომში პროპაგანდის კოლეგია აარსებს ქართული ენის კათედრის საიდანაც 1625 წლიდან გვევხავენ დაბეჭდილი ქართული საერო და სასულიერო სახელმძღვანელოები. რომში ისტემატურათ იგზავნიან ქართველი სტუდენტები, რომელიც ჩემის აზრით, იყენებ, ვინცე უკუ პასიური პიონერები ევროპული თეატრის საქართველოში.

შეუძლებელია, რომ გინდაც შემთხვევითი ინფორმაცია ევროპული თეატრის არ შემოეტანათ: ზარდენს, ლამბერტს, პეისონელს, დელავალეს. სამა სულხან ორბელიანი, რომელიც XVIII საუკ. დასაწყისში, დიპლომატიუა მისითი ვაიგზავნა ევროპაში, უუკუვალ იყო მნახველი ლიტურგიული დრამების და მისტერიების. უუკუვა, რომ ასეთი კულტურული კარი, როგორც იყო სასახლე ვახტანგ VI-ის, იცნობდა თეატრს და შეიძლება ძველი ქართული თეატრის პირველი დატა მის მეფობაშიც აღმოჩნდეს. 1724 წელს რუსეთში ვადაბეწვილ ქართული არისტოკრატია (მის შორის პოეტი გუამიშვილი) იყო ესთეტიური მაყურებელი მოსკოვის და კიევის თეატრების ანუ მისტერიების.

ერთი სიტყვით, თეატრალური კულტა, თეატრალური ხელოვნების ტრადიციები საქართველოში უფრო შორეული პოტენციები მიიღის, ვიდრე გვეჩვენია,

მაგრამ რაკი ყველა ქართველი ლიტერატურული ძეგლები სავსებით არ არის შემოკრფილი და თეატრალური ბიბლიოგრაფიიდანაც დათარიღებული დოკუმენტებიც უკრფკრობით 1794 წლამდე არ მოგვეპოება. ჩვენ საშუალება არ მაქვს უფრო დეტალურად ვილაპარაკოთ ქართული თეატრალური ხელოვნების ადრეულ პერიოდებზე.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართული თეატრი უკვე დახვეწილი პრიმიტიული ფორმებიდან, თავისუფლდება ლიტერატურული მისტერიებიდან და სამოლოოდ იღებს ახალი ევროპული თეატრის სახეს.

ამ თეატრს, რომელსაც მე ვუწოდებ „ირაკლის თეატრს“, რადგან ირაკლის ეპოქას ეკუთვნის, აქვს სამი პერიოდი.

პირველი 1759 წლიდან 1780 წლამდე, თეატრი შექმნილი პაიოზის იეზუიტების თეატრის გავლენით, კიევის და მოსკოვის მისტერიული თეატრების ტიპის, რომლის ჩანასახს იძლევა ქართული საეულოსოფიო-სათეოლოგო სასწავლებლების „სასკოლო სკენა“.

მეორე პერიოდი 1780—1795 წლამდე, როდესაც საქართველოში ისევე რუსეთის საშუალებით შემოიღის უკვე სასულიერო დრამიდან თავისუფალი ფრანგული კლასიური თეატრი ვოლტერის რეპრეტარით კომედიებით, ფარსებით, ინტერმედიებით. ეს თეატრი ნაწილობრივ არის დემოკრატიული.

*) ჩვენი ლიტერატურული ძეგლებიდან: თეატრის პოლიტიკური თანგნული ელიზნურით. თეატრის აღდგენილზე ვადაბეწვილი ვახუშტისაგან თეატრის არჩილანში „მუტაროის აგებნე, ასპარესს“.



მესამე პერიოდი 1795—1832 უფრო გაფართოებული ფრანგული რევოლუციით, მაგრამ მოკლებული სახალხის პალატებს, საკუთარი შინობის და განსაკუთრებით არისტოკრატიული „ოჯახების“ თევარი, რომელსაც სამუდამოდ სსიპმ 1832 წლის პოლიტიკური აქტი.

ირაკლის თევარის ძაქტორი არის ტფილისის და ალავეჯის სემინარია ანუ „სხოლა“ პირველი გაიხსნა 1756 წლ., მეორე უფრო მოგვიანებით, სახელდობრ 1782 წლის. მათი ანაბლები იმავე დღის არის ანაბლები ქართული თევარის. ორივე დაწესებულება, რომელთაც მოგვცეს XVIII საუკუნის ქართველი ინტელიგენცია, არა დიდი მასშტაბით, მაგრამ მაინც პოლიაღები კატეხეზისგან აღექვანდრე ნიველის სემინარიის და მოსკოვის სლავურ-ლათინურ აკადემიის—მაივე პროგრამით და ორგანიზაციით. სასწავლებლის უკრისი სალითისმეტეკლო სავანებთან ერთად გაიდან ლილიკა, ფილოსოფიის, მეტაფიზიკას, ფიზიკას, გრამატიკას, რიტორიკას, და რაც ჩვენთვის საინტერესოა, აქვე არსებობდა „პიტიკის კლასიკა“, რომელიც სქოლასტიკურ სისტემებთან ერთად ისწავლებდა დრამატიული ფორმის, როგორც ერთი სახე პიტიკისა.*) ჩვენი სავანისათვის საჭიროა სწორედ ეს „განმარტება დიალოგის“ და „სინოპსის დელამაციის“.

მაგრამ სავარიის არ იქნებოდა, რომ დრამატიკული ფორმა თეორიის გარდა პრაქტიკულად არ გაველოთ და ჩვენდა სასიხარულოდ არსებობს დოკუმენტები, რომელთაც თელავში და ტფილისში „სხოლასტეტები“ სდამედენ სახელო სკენიურ დიალოგებს, დელამაციას და პანეგირიკულ პიესებს იამბიკებით, როცა საწავლებლის შესწავლილობა რომელიმე წვერი დანისტისი. ამიტომ შემთხვევითი არ არის ზეპირი ცნობა დღით რექტორის თევარის შესახებ თელავში. უშეკველია, რომ სემინარიის თავისი დრამატიკული მიღწევები ქალაქის დარბაზებშიც გადამქონდა რექტორისათვის ხელმძღვანელობით.

სასკოლო სცენას, ჰქონდა საკუთარი რეპერტორი, განსაზღვრული სიუჟეტის სქემით. მასში სკარბობდა თარგმნითი ლიტერატურა, საშუალო სასკოლოების ისტეტიკით, მოტეგებით და სიტუაციით. მაგრამ იყო ორიგინალური პიესებიც რომელთა კონსტრუქცია და მანერა. ყოველ შემთხვევაში არ იყო ინიციაციული. გვიერ არაა, ორიგინალური მისტერიების, ატორები არიან ტექსტის ცნობალი „დრამატიკული სკოლის“ „უქუბი პიტიკონის“, „სტაბილი მესტიხენი“ და „მთხველნი მალასა ფრასა ზედა“. ამნარიად ჩვენი ნაციონალი დრამატურგის გენეზისის სათელილოეი სკოლათა ზღუდებში უნდა ვეძიოთ. სწორედ ასეთივე სასუფელთი იქნება ფრანგული და ესპანური თევარები.

ცნობილია, რომ სიუჟეტები, ბიბლიურს ტემებს

*) ამ მონდელი სემინარიისი იონა ხელაშვილის დიალოგი „მუხათისი“; რომელმაც სკოლიდან იქის: „კალია ხუზა კომედისა“ და „მელაონება მუხა ტრალიდისა“.

და კითხობან უშუთ თქვენ უვე ფრანციკულნი შირნი, უფლის პრელოტისანი, მუხთა საპიეტისანი მუხთხონნი?

იონანე მთავრული და ცელქი ტალია, მთავრული ჰყოფს მათემატიკული თიატრსა მინა განმითვლითა თამაშობითა თვისთა, ჩინებული მელაონენი, წამოაყენებს წინაშე ერთა, ხელმწიფეთა განმომადელი მუხთხობლისა სიველიდისათა და ტრალიდისა, ანუ მლოღიარობისა ლტოლვილი.

შეიცავდა. სამწუხაროდ, არა ვაქვს რეპერტორისი, მინალო-გრაფია, რომ უფრო ნათლად წარმოვიდინოთ მისი ისტორიული-ლიტერატურული და თეატრალური მხარე, დაღმა და ტენხიკა. ეს კი ცხადიარომ ტენხიკა დაღმის იყო თითქმის უუსუსლო . .

უაქტი, რომ ტფილისსა და თელავში გაიშარია რამოდენიმე მისტერიც, ადასტურებს, რომ სასკოლო სცენის რექტებით, უვეე აქნებოდა მეორე, „დარბაზების“ თევარი უფრო სერიოზული, უფრო ფართო სახალხო, რომელიც თამბოცდათთან წლებში შემოეცა ვოლტერის რეპერტურით. ამ თევარის-პიონერები არიან ქართული სემინარიები, რომელთაც სქოლასტიკურ სისტემებთან ერთად, შემთხვევით შემოჰყვით დრამატიული ფორმა და თუ კი არსებობდა პროფესიონალი ტრუპა არისტოკრატიანად, მის ხელმძღვანელებად ისევ ეს „სხოლასტეტები“ უნდა ყოფილიყვნენ.

საინტერესოა, რომ პირველი დიდი მისტერიები უმთავრესად სამეფო პალატებში იმართებოდა. ამიტომ ტერმინი „პალატა“ დიდხანს თევარის მნიშვნელობით იხმარება.

XVIII საუკუნის უახასანელ წლებში, იცვლება საქართველოს ინტელისური ვერობანიცია და ტფილისც შეუმწინველთ შევის ახალს ფორმაციაში. იცვლება სახელმწიფობრივი აპარატი, იცვლება სტილი კულტურის იცვლება ჩვენი ახლად აღორძინებულ, მინიატურული მისტერიების თევარიც, რომელიც უვეე ევროპულ თევარის ტრადიციებს იქნეს. მოდის ფრანგული ტრადიციული თევარები, მოდის კომედიის თევარიც, თავისი მთავრულიებით, მორალიტიკებით, ინტერმედიებით...

უვეერო ლიტერატული დრამები კივის დრამატიკურგის პრობის, ისპობა კლასიკური ტრადიციებით, დახასხველ მისტერიებს ანიავებს ვოლტერი, რასინი, ბოზარეუ...

ეს რეფორმაციის ეპოქაა, როცა სპარსული პოეზიით და ბიზანტიური კლერიკალიზმის ტრიუმფით მოდუნებულ ქართული ინტელექტს დაუფუთა ვოლტერი, როცა რუსოსი, ლესინგისი, დიდროს და მონტესკიეს—ენტელისტი ხდებდა მოწინავე ქართული ინტელიგენცია როცა შემოდის „ფრანგული“ მოდა „ფრანგული“ ტრადიციები.*)

ტფილისში უვეე არსებობს ევროპიული კალენია, და ნარიკალის ვიწრო ქუჩაში, სადაც აზიური ურდოები გავლის საშუალებას არ ვაძლევენ, ბრწყინვალე კარტით გავივლის ჭრიდრის დიდის ატაშე კირასირებით. დალაშხებულს ქალაქში საათხავას იმპროვიზაციებთან, ვიწრო საკმელებიდან ისმის „შოტლანდიური და პოლშური სიმ-

*) ტერმინი „ფრანგ“ რომელიც ნინჰას ევროპიულს XVIII-ს მეტად პოპულარულია განაპირა პროვინციებშიც.

გახსენეთ „კალმასობიდან“ მიკოე დიალოგი, როცა იონა ხელაშვილი შურაბთან ერთად ანაშავი დღევით მოხვედლ კონვესს სასესს უწევს.

გ ლ გ ხ ი: ჩვენ ასე ვიცით ლამაზაკი, ახლა ხომ ვერ ვაკფრანგდებთო.

იონანე თუ ვინმე როგიადა იტყვის რასმე ფრანგს ეძახიან ჩვენს, და რა ჩვეულება არს ესე.

ზურბაბა—ამისთვის, რადგან საფრანგეთში მეცნიერება ბევრია. და მეცნიერებს მოდიან იგიდან პატერი თუ სხვანი, მის გამოვისაც მყოფნარს ნახვენ ფრანგს ეძახიან. („კალმასობა“ 141 გვ.)



დერების ხმებზე“ სიონში, წირვაზე დგანან ქართველი სენატორები, მუსარები, დიპლომატები, — ჩალები ევროპული შილაპები, პოლიტები, ტრენები, რუსები

მეფე, რომელიც ეკატერინე II ვოლტრითან „თავის მეგობარს ეპახის და ყირიმში სამოვზაუროთ ენატიებდა დაღეს უკეთ ჩალმავობილი, რომელიც მის დანსატისა დადავა ტ.მ.რანამა, აუღ მესიაზე გამოდის ორდენებით, ანდრიას ლენტიით. ბატონიშვილები მთელი წლობით ცხოვრობენ პეტერბურგში, ცარსკოე სელოში და ტფილისშიც ვადმუაქუბ ეტიკეტები ბრწყინვალე სალონები.

პალატებში იმართება ასპზუბა, მასსონთა კრება. კითხულობენ „ქართულ კურანტებს“, აუწყებას სახის-მეტყველებებსა“ ე. ი. თეატრის აქიშებს. მაგრამ შვიდეთ შიგ დარბაზში და ვადეცნოთ ძველი თეატრალური საზოგადოება, მით უმეტეს, ამ საღამოს მან უნდა მოისმინოს ვიორჯი ავალშიშვილის ახალი ტრავედია: ზეფე თიფიძეა“

ერთი კერაა, რაც ფრანგმა ოსტატებმა დაასრულეს დარბაზის მოწყობა ფრანგული სტილით. თაემოყრილია ბრწყინვალე არსტორატია. დარბაზის ერთს კუთხეში „კეკეასი-ს ლინიდიან“ დაბრუნებულ დონოჟონები ადვენენ სატირიულს პამფლეტებს დავით რექტორზე, რომელმაც ვალექსა ქართული გრამატიკა. საუბარში, ერთს მთავრის ებადება ბარი, შეადგინოს „ქართული დეკამეზონ“ და ანექლოტური ანტოლოგია. მეორეს სურს ვოლქის ფილოსოფიის ლექსათ ვადიდება.

მეორე კუთხეში მშობლა პედაგოგი კითხულობენ ახლათ შედენილს პოლტოკურს ტრაქტატს „სასპრთეველოს სწოა“ გამეგობი თვისა“, რომელიც ხეალ უნდა წაორდენინ მეთეს ვანსახლველიათ.

მარმაროლს ბუჟართან ისმის ჰებუა ორბელიანის ახალი კოლაპერები და კანკლერი ლეონიძე კოდეე ზედმეტათ აქებს მის ეპიგრამატიულს ტლანტს. საზოგადოებაში არ სჩანს ტახტის მემკვიდრე, რადან მას სძულს თეატრი — შემწერარი ზაქის შენდევ განმმარტოებულა, ხა ტოლო დატვირთულს კაბინეტში და სტებება „გიორგი ნოსტისს“ წიგნით. კითხვაში, როგორც ქრისტიანი უფიქრდება ვოლტერის შემოსევას. მართალია, ეკლესიას კოდეე ელის დიოკლეტიანე, ნერონი, იგლიანე, ვოლტერი, მაგრამ იგი არ დაიღუბება. თუმცა თავის შვილში, რომელიც სარწმუნოებაზედ უსტკობს, ის უკვე ჰხედავს ეკლესიის დანშობის სიმპტომებს.

რასა იქმს ბოროტი სიტყვითა, უკეთური ვოლტერი, მგეგობარი ჩემი შვილისა, ჩემის მემკვიდრისა. რუსეთში მეოცნება ჩემმა შვილმა შეისწავლა მისი ურჯული სწავლა; მეორეა აქა მისი ხას, რომელიც სამართლიანად დავწევი ცეცხლსა“ და მისუსტებულთ მსუქანი საილით პეტრეტებს: „წყველივ არის მისი სახელი. დემრთო და მასუჯარო ჩემო, შენ აპატეე შვილსა ჩემსა დავის და-ნაშულო მისი. ნუჟ ჰკითხავ შენ. შენ მოაქციე კემშპირტ გზაზედ“.

ქელდცემებისტერი პაატა ანდრონიკაშვილი არ-თობს ტფილისში დაბანაკებულს რუსის ბატალიონის ოფიცერებს. შემოდიან ქართველები შეხებხაზალს შროფით და სოლომონ ლეონიძეს ვადესკემენ იმერეთში „ექსორიაქნალ“ ბესიკის წერილს. ჰებუა ორბელიანი — „კეცი შესახედავათ სსგავესი უხაპესი „თავისი მტერის“ სა-

ხელს ვაგონებაზედ ორთის როგორც მითია „ეკეველის ბესიკის შხამს. მაგრამ ვანწირული პოეტს არა“ წყქქან მისათვის. წერილში სიხვის კანკლერს „იშუამდგომლის მათს უხალესობასთან“ ტფილისში დაბრუნებისათვის. როგორც წერილიდან სჩანს, პოეტი დაინტერესებულია დღევანდელი ტრავედით: ზომით, სიუჟეტით და სერით თხოულობს თეატრალურ ინფორმაციას...

მაგრამ დარბაზი ცოცხლდება, როცა რეისორი მანჩაგლმა და ანტრენჟერიორის გამბიელ-მაიორის თანხლებით შემოვიდა ახალგაზრდა დრამატურგი და დიპლომატი ავღოშვილი ვიორჯი, ავტორი დღევანდელი კუხისის საზოგადოება მას ხედება ვანსაკუთოებულს ურადლებით. ლეონიძე ვადესკემს ბესიკის წერილს, რომლის ვადავალიერების მერე იგი საზოგადოებას იწვევს „პალატაში“ საერთოდ მას ეტკობა ნერვოლოზა. ბუჟარნიკოლის მე-ულელ საყველებუბით მიჰპარათავს გამბიელ მაიორს, რომ თეატრი ასე მალე ვააპარა დემოკრატიაში. დასცინს მის მათუებლებს და მის შესასულელ ბოლეთს, რომელზედც წყნარია „შაური ოკვი, ვამრიღლ მაიორი“.

დარბაზი უკვე იწლება და მიდის „სახისმეტყველების“ სანახავათ. წინ მიდაინ ჰალები კავალერებით ავალიშვილი სიხარულით იტყობინება, რომ ტრავედიაზე მეთეს ნებართვი იქნება „ჭრული“ (კონკერტი).

ჭრულს, გამართავენ ისაქ ზუციტი და გირასიმე მღვიდიმონაზონი „ტუბლად მგალოველია“. პირველმა იცის „ჭრული“ ათის, მეორემ ვიდუე ხუთასამდე. მაგრამ მის ყვათ მეჭუტე ლურიაში, ვიორჯი ჰვალდინძე, პირველი მგალობელი რომელმაც იცის ჰრული ათას ერთი“. მის მოსმენის ნატრულებზე ვანსაკუთრებით დრეკონებში და სტატს დამბეტი, რომელნიც ჰშობრად უწეობენ პეტრეტუზებზე. დღეს „ჭრულში“ გამოვლენ: სოლოდაშვილი ლონტე, ციციშვილი ითიამ, მგალობელი დიმიტრი, გარსევანი იგლი კოკია, ჰარუმბეო ითიან და სხ.

თეატრი, ვანათეაბული სურნელოვანი ჰრეპეებით, სავსეა პირველი არისოკრატით მაგრამ აქვე არიან: ბენია, საათანავა და თათარცა ნორიელი ინტერმედების ავტორები „ამელიდიანიქება“ და „მს ხობაში“ კულისეში არიან, სადაც უსტოველი რევისსარი იღება მათ უქანასენელს პარადს.

დარბაზში ცალკე მოთავსებულია სამეფელოვება. იგი თავისი წრიდან ითვლის არა ერთს არტისტს და დრამატურგს, რომელთა თეატრალური რეპუტაცია საკმაოდ ვაზბულია მაგრამ თვით ოციციანული ქართული ეკლესია, რომელმაც დასწევა ეფედის ტაოთასნი, ჩასაკვირველია ვერ წააქვებებს დრამატიული ხელოვნების სანახავს, და ემბრძვის მას შეძლებისამებრ. დღეს დრამაში მონაწილეობს ორბელიანების მოძღვარი „ქეშიმ და რდიმანი“ ე. ი. მღვიდილი მთავრობა. ამბობენ, რომ ორი თვის წინად ის შეიხსნა ქართლის მთავარეპისკოპოზმა „სახისმეტყველბაში“ მონაწილეობის მიღებისათვის, მაგრამ „ქეშიმ და რდიმანი“ მოძღვარი და არტისტი, ტრფილი ტრაპეზის და სცენის, ამ მომენტში კულისეში დგას გრიგავციტეველი და უქანასენელით ავლებს თვალს თავის როლს, ხოლო სალაგებოზე დაფრინავს მისი შხამიანი სატირია:

„ღლოსითვის არჩევილი ბოლოსა, ვინ იქნება იმის დეტოლოსა; თონენში ჩაყავის კარგს ლოლოსა,

უმის წირვას გადაიხდის ჰეპასა,
წინ გაიძღვანს დიაკვანსა საბასა,
მე დამიშლის შესვლასა პ ა ლ ა ტ ა ხ ა ,
თვით კი მუდმივ მოივლის ავლაბარსა“

მაგრამ ტრაგედიის განსწინა დრო მოვიდა.

მათემ და მისმა ოჯახმა დაიპირეს თავისი ალაგი ტრაგედიის წინ იმღერეს ჰიმნი მეფისადმი და შემდეგ დრამატურგმა მღერით წაარმოთქვა შესავალი:

„მე სახედველნი ივ ჩემნი დავაშრე წიგნთა წერითა,
ზოგთ ჩემით მოქმედებულზე ზოგთზე სხვით გადმოწერითა,

მსმენელთ ვევედრებ, ნუ მკიცხვენ ამა ლექსისა მღერითა“

არ დაიშლიან, მაჩვენონ ივ, თუ ვმსახურე მე რითა.
თუ ხართ ვინმე მოსერენნი თეატრს სმენელად

ანუ ცნობად, შეიმატებთ განდიდებას, ბრძენთა აქებთ თქვენად მკოსად.

ერიდებით უსამართლოდ ჩემებრ მწერთა ცუდად გმოზად,

არ დაიშლით, ჰგავს—არ რიდებთ თქვენთან ვლახ გულთ ლახვარ სოზად.

მერწმუნენით, არ მას ვუხსნობ, მქონდეს მკო მისკენ ერობი ,

მაგრამ მშაღის განრინება კიციხითა და ქვემო რჩობა, ნუ იკადრებთ ვაკხადებთ იქონიოთ ჩემზე წყრობა, დაიშალეთ, თუ რომ სჯობდეს, მლიქვნელიობა, ქვექვი ძრობა“.

დაიწყო ტრაგედია, მთავარ როლში მონაწილეობენ: რეჟისორი მანაბელი, თამაშ ანდრონიკაშვილი, დავით ჩოლოყაშვილი, გაბრიელ მიოჩი, იოანე ორბელიანი, დავით და მირიან ბატონი ზეილები, ქალები სამეფო ოჯახიდან, აგრეთვე ორბელიანები და ავღალიშვილთა ასულნი.

ტრაგედიის ერთი მომენტია: „თეიმურაზი საფლავიდან წამოვდება. ერთს კაცს დიკურს და ეტყვის: კაცო, შენ ბომა მილუაშვილი არა ხარ, ეს რაგები ჩაკიცვამს? იქით კიდევ ხელს ჩაველებს სხვა მოქალაქეთ, რომელთაც ევროპაში უმოგზაურობდა და იქაური ტანისამოსი ჩაუტყავით.

შემდეგ მივუბნობ: ჰაი გიდი საქართველოს დატაკო ხალხ! მაგრამ ეჰ, შვილო ირაკლი, შენი იმედი მაქვს, რომ ჩვენს საყვარელს ხალხს სიმართლით უპატირონებ და არ შეაქმევ გლჟახ ბატკნებივით!“ ტრაგედია იყო საპი „სახისმომქმედიანი“. ანტრაქტებზე უკრავდა რუსულ ქართული მუსიკა და იმართებოდა ინტერმედია ქართულ (კეცეთი), ტრავსლიევ შემდეგ ტრავა წარუდგამეფის რომელიმე ტკბილი კონცერტებზე და აქო მათი „თამაშა“. ტრაგედია დასრულდა უმწვენიერესი „კრულით“.

*) კონცერტის აღმოცენით.



საქართველოს
საბჭოთაო მუშაკთა
კავშირების
გაზეთი

სცენის მოღვაწე ივ მკედლიშვილი.
12 იანვარს 35 წლის იუბილეს გამართვისათვის.

ამრიგად არაკლის იბოქში ჩვენ გვაქვს საკუთარი თეატრი. გვაქვს ორი სცენა სახანახლის და სახანახლის. თეატრს აქვს რეპერტუარი. ჩნდება თეატრალური ანტრუსები ჩნდება ავტორი რეჟისორი ანტრეპრინორი, დეკორატორი, ბლტაჟური. გვებადება აზრი: რომ ტრავაში უქობილებიც და უმთავრესად ევროპიელებიც ერიცხენ. თეატრალური კულტურა კი საერთოდ ფრანგულ და რუსული სტოლის იყო.

ძნელია თქმა, რა თეორიული წარმოდგენა ჰქონდათ მაშინდელს ჩვენს თეატრებს, რანაირი იყო ჩვენი „კომედინტების“ ატრისტიკული ეესტი, დიქლამაცია, ხერხი, კოსტიუმი, ვარიონი.

რომ 1795 წ არ დაღუპულიყო სასახლის არქივი-გვეცოდინებოდა მთავრობის მიერ ვალენტუ სუბსიდიის რაოდენობაც, გვეცოდინებოდა უფრო დაწერილებით თეატრს ორგანიზაცია, ტრუპის შეზღვენლობა, რეპერტუარი, პირობება თეატრის განვითარების და ესთეტიკური ქარაული „მაყურებელი“.

გიორგი ლეონიძე.

(გაგრძელება იქნება)

P. S. ეს პალარა ეტუელი დაწერილია ნაქარგვით. უფრანკის პირობები გვიწოდდა ხელს რომ უფრო ფართოდ გველაპარაკა და მოგვეყვანა შესაფერის დასაბუთებანი, ამიტომ იგი მუცს პრეტენზიებს მოაღებულობა.

ავტორი.

გფილისის

საქონლის და საფონდო ბირჟა

ისპოლკომის (ყოფ. სოლოლაკის) ქ. № 7,

ტელეფონი 4-60 და 9-33.

საბირჟო კრებები

ი მ ბ რ თ ე ბ ბ

საქონლის განყოფილებაში დღის 12-2 საათამდე
საფონდო " " 11-12 "

ბირჟასთან იმყოფება

საეკსპერტიზო გიურო უოველგვარ ეკსპერტიზის სწარმოებლათ

საქონლის სექციები, ნედლი მასალების, ხორცის საქარხნო-საფაბრიკო ნაწარმოებების და პურეულობის, ბირჟის გარეშე სავაჭრო გარიგების სარეგისტრაციო ბიურო.

საარბიტრაჟო კომისია, საბირჟო გარიგების გარეშე მომხდარ დავის განსახილველათ

აერონავიურ-სტატისტიკური განყოფილება.

პროვინციალური აგენციები-კორესპონდენტები აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შემდეგ ბუნქტებში: თელავი, წნორის-წყალი, შაუმიანი (ყოფ. შულავერი), გორი, ხაშური, ახალციხე ახალქალაქი, ქუთაისი, ჭიათურა, სამცხრედო, ომურგეთი, ახალ-სენაკი და ფოთი.

ბირჟა სცემს საკუთარ ორგანოს ფასდამდებ („საკოტიროვკა“) ბიულეტენებით.

ცნობების გაცემა: ვალიუტის კურსის და საქონლის ფაჩების შესახებ, სწარმოებს ბირჟის კანცელა-
რიაში ყოველ-დღე 9-8 საათამდე.